**დადგენილება №55/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საშემსრულებლო ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები ადგილების რაოდენობის მითითების გარეშე მიღების გამოცხადების შესახებ

დადგენილება №55/2020 , 30 ივლისი 2020

**დადგენილება №55/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საშემსრულებლო ფაკუტლეტის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები ადგილების რაოდენობის მითითების გარეშე მიღების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 25 ივლისის N08 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის N27 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. გამოცხადდეს მიღება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საშემსრულებლო ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები ადგილების რაოდენობის მითითების გარეშე.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე